

S72
1959/2

ქართული
ბავშვთა
წიგნი



დედა

რაქვადი, ტურფა ქვეყანა,
ილხინე, ივერი მხარე,
და მესცა ქართუელი, სწავლითა
სამსობელი კვანძური.¹⁴

№ 2 საბავშვო აღკვეთის ცენტრალური კომიტეტისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მკვლევართა კვლევის საფუძველზე გამოცემულია 1959

თებერვალი

ა. ლავანიძე

ზატარა საქართველოვ,
ჰოი, ტკბილო მამულო!
ქვეყანავ სანატრელო!
ჩანსქერების სმაურო!

სვარში ვახის შრიალო!
ველად ზურის დაღანო!
მიწავ ამხსიანო!
ხალხო სულით მადლალო!

ბეერი მწარე გინახავს,
მგერამ ახლა გათუნდა,
და ჰა, ფიცო ისმინე,
შენ, ზატარა ქართველთა:

სწავლა! შრომა! გპირობა!—
აი, ჩვენი ზირობა;
საქმით დავადანსტურებო
საქართველოს შვილობას!

ქედებო და კორდებო,
მიწავ ვარდებინაო,
კორტოს-კორტოს ოდებო,
მწვანე ჭადრებინაო.

ჭალებო სანატრელო,
ჩანსქერების სმაურო,—
ზატარა საქართველოვ,
ჰოი, ტკბილო მამულო!



ყელყარყარა ლიტრა

ანა ხახუაშვილი

ნახატები ჯ. მახარაძისა

პაპა ავად იყო. გარეთ აივანზე იწვა და გამწვანებულ-გამომწვანებულ თვალს ადევნებდა. დიდება ძლიერ სწუხდა, პაპამ საკმელოზე უარი თქვა. დღეს კი წყლის დაღვევაც არ ისურვა.

დიდებამ ყელყარყარა ლიტრა განჯინიდან გადმოიღო, ამით უყუარს პაპას ცივი წყლის დაღვევა, და მეზობლის ბიქს შეეხვეწა:

— დედოფლის წყაროზე წადი და ცივი წყალი მომიტანე. ოღონდ, შეილო, ძლიერ ფრთხილად იყავი, ხომ იცი, პაპას რა ძლიერ უყვარს მგე ლიტრიდან წყლის ჩარაკრავება..

შოთა კიბეზე დაეშვა, თავის ორ ამხანაგს შეეხმაურა და სამნი სწრაფად გზას გაუდგნენ.

კლდიდან გადმომსკდარი დედოფლის წყარო ციხის ნანგრევებთან შადრევანივით ამოდუღდა. ჯერ ორმა ბიქმა მიუდგეს თავისი კოკურები. მერე შოთამ ყელყარყარა ლიტრას ორივე ხელი თავსა და ბოლოში წაავლო, გულდადებით გამორეცხა და მიღს შეუდგა. წყარომ ჩაიმღერა, ჩაირაკრა და გავსების შემდეგ შოთამ ყურში ხელი რომ მოჰკიდა,—მუცლამდის მრგვლად შემორღვეული ყური ხელში შერჩა.

— ვაი!—ერთად წამოიძახეს ბავშვებმა. შალიკომ შოთას შეხედა, გაიღიმა, ლიტრის ყარყარა ყელო ჩამოართვა, ტუჩებზე მიიღო და ტრუ-ტუ-ტუუ!.. ხელად ახმინადა საყვირი.

ბიქებს სიცილი წასკდათ.

— თქვენ იცინით, მაგრამ დიდებას რაღა პასუხი გავცე? — შეფიქრიანდა შოთა.

— რა გადარდება, ბიჭო,—შეუტია გაიამ.—ორი მოწმე აქ არა ვართ!.. ნუთუ არ დაგვიჯერებს?! ლიტრა მიხეტებოთ



რომ გატეხილიყო, განა ყელი ასე სწორად შემოერღვეოდა? ეგ კი არა და, ბიქებო, ერთი შეხედეთ, ძირი ნამდილო თონეს არა ჰგავს?!

— ეჰეი, მართლაც რა ლამაზი თონე გვექნება!—წამოიძახა შალიკომ, ლიტრის ძირს ხელი დაავლო და ბავშვები სიხარულით გაიქცნენ შინისაკენ.

დიდებამ ბევრი ივიშივია, მაგრამ ლიტრას რაღა ეშველებოდა! პაპას კი ცივი წყალი ვიას ლიტრით მიართევს.

ბიქები დატრიალდნენ. მიწაში ხელად ჩადგეს თონე, თიხით ააბრიალეს

და გოგოებს პური ჩააკრევენ. ლამაზი პაწია პურები რომ ამოყარეს, სიხარულისაგან ერთი ყვირია ატეხეს.

პატარა ხონჩები პურებით რომ აავსეს, შალიკომ ბავშვებს უთხრა:

— მოდიტ და ეს ერთი ხონჩა პური პაპა ვანოს მივართვათ. იქნებ ესია მოვინოს.

ყველას ძლიერ მოეწონა შალვას აზრი. სამი არჩეული ბიჭი ავადმყოფ პაპას თავზე წამოადგა. პაპამ ისე გაიხარა იმათი ძღვენით, რომ დიდედას ხალისიანად შესძახა:

— მარიამ, სტუმრები გვეწვიენ და აბა წელან რომ მხხვეწებოდი, აი, ახლა გამოიტანე ის კარგი რამე-რამეები და შენებურად გავვიმასპინძლო!

მარიამი ბავშვებს სიხარულით გამოეგება, საწოლთან სუფრა გაშალა, მოხრაკული ვარია, ნიგვზით თევზი და ხელადით ღვინო მოიტანა. მალე ისეთი წვეულება გაიმართა, რომ პაპას თავისი დამაბუნება მთლად დაავიწყდა.

ბავშვების გამომცხვარა პურმა თავისი სურნელებით მოხუცს მადა გაუსხსნა; ბავშვებს არწმუნებდა,—ასე გემრიელად ჯერ არაფერი მიჭამიაო.

როდესაც პაპამ წყლის დაღვევა თავისი ლიტრიდან მოისურვა, მაშინ შოთამ სიმართლე ვედარ დამალა:

— პაპა, ნუ გავიჯავრდები, იმ ყარყარა ლიტრას რომ ყელი არ მოვარდნოდა, თონეს ვერ ჩავადგდებით, შენ მოსაწონ პურს ვერ გამოვაცხოვდით და ვერც ამისთანა ქვიფს გავწვედით!

პაპას ეწყინა ლიტრის გატეხა, მაგრამ პატარა სტუმრებს არ აგრძნობინა.

— ჰო, შვილო, დღეს თქვენ მომაბრუნეთ, თორემ ჩემი საქმე ცუდად იყო; თქვენმა გამომცხვარა პურმა მადა გამისხსნა, თანაც ღვინო დავაყოფე და ახლა მთლად გამოვცოცხლდი.

— იცი, პაპა! ამ ლიტრის ყელი ახლა ჩვენი საყვრიია,—თქვა გაიმ,—შიგ რომ ჩავებრავთ, ისეთი ხმა ისმის, ჩვენი უბნის

ბავშვები თავ-პირის მტვრევით გამობიან.

— ჰოდა, აი, შვილო, იმ ლიტრას ისეთი წარსული ჰქონდა, რომ უსათუოდ უნდა მოგაყვეთ,—თქვა მოხუცმა, ბალირი გაისწორა და ბიჭებს უამბო:

— ეგ ლიტრა ორმოცდახუთი წელი გვემსახურა. ყინულივით



ცივ წყალს გვასმევდა, მაგრამ ლამაზი ყელით ჭიქაში რაკრას რომ დაიწყებდა—ის ყველას აჯობდა. ამიტომ ძლიერ გვიყვარდა და კიდევ ვუფრთხილდებოდით. მე მაშინ ახალგაზრდა ვიყავი, როცა ის ლიტრა მაჩუქეს.



მირბენინა და მისახსოვრა.

დიდი დრო გავიდა მას შემდეგ... ის ბიჭი ახლა სახელოვანთქმელი მოქანდაკეა!.. ასე იყო, ჩიტებო, ეს ამბავი, — თქვა პაპამ და ბალიშზე მიწვა.

ბავშვებმა ერთმანეთს გადახედეს. მოხუცის ნამბობი ჭკუაში დაუჯდათ. პაპას რომ დაემშვიდობნენ და ორლობეს დაადგინენ, რალაც მოილაპარაკეს და გიამ კისრისტეხით მოკურცხლა შინისაკენ. მალე გიამ

ერთ კვირა დღეს ბახარზე აღრე გავედი. ვიდრე რიყეს მივუახლოვდებოდი, სადაც ბახარი იყო გაშლილი,

შორიდანვე წკრიალი შემომესმა, თითქოს ხარებს რეკავინო. შევედი ბახარში და რას ეხედავ? ჩემი ნამოწაფარი პატარა ბიჭი კობტად გაშლილ ჯამ-ჭურჭელს მისჯდომოდა და პატარა ჯოხით ზარებივით აწყარუნებდა. მის ირგვლივ ხალხი იდგა და გაუცეცივებით არჩევდა ჭურჭელს. ყველა ლამაზი ლიტრა უკვე გაყიდულიყო. ერთი პატარა უშნო ლიტრა რომ არ მომეწონა, ბიჭმა დარცხვენით მითხრა:

— ეგლა დარჩა, მასწავლებლო, წაიღეთ, მალე კობტა ლიტრას გავაკეთებ და სასოვრად მოგართმევთო!

იმ ბიჭისათვის მამას ესწავლებინა: უსანეთის მთის ძირას, თამარ დედოფლის ციხის ჩანგრევებთან, ისეთი თინა არის, რომ მისგან გამოძერწილი ჭურჭელი ზარივით ირეკებაო.

ბიჭი იმავე დღეს წასულა, ის ადგილი უპოვია და თინა ძლიერ მოსწონებია. იქვე ჩამჯდარიყო, სიამ ქვაზე თინა მოესინჯა და აფხილა. რამდენიმე დღის შემდეგ კი ის გამოძერწილი ლიტრა მო-

„საყვირი“ მოარბენინა და მთელი უბნის ბავშვებს მოუყარა თავი.

მეორე დილით ყმაწვილები აღრიანად გაუდგინენ ზხას უსანეთის მთისაკენ. მხარზე ბარები გაედოთ, ზურგზე საგზალი ეკიდათ. სოფელს რომ გასცდნენ, ისეთი სიმღერა დააგუგუნეს, მთა და ბარი მათი წკრიალა ხმით აივსო.

სულ არ გასულა ნახევარი საათიც რომ ბიჭებმა მთის ძირას თხილნარის ბუჩქები დააშრიალეს, გაიფანტნენ და თიხის ძებნას შეუდგინენ.

შოთამ ერთ მოშიშველებულ ადგილას ნათხარი ყვითელი მიწა დაინახა, იქით გასწია და სიხარულით წამოიძახა:

— იფ, შენი გულისა, რა თინა!

ყველა შოთასაკენ გაეშურა. ატყდა ერთი ყრიამული, მოიმარჯვეს ბარები; ცარიელ ტომარეში თიხის გორახებს ყრიდნენ, რომ საყვარელი პაპა ახალი ყელყარყარა ლიტრებით გაეხარებინათ.



ეკვიპტეში

ნახატები ავტორისა

სვამენ ეკვიპტის მცხოვრებნი, ნილოსი რწყავს მათ ბალ-მინდვრებს. მაგრამ შიგ ბანაობა კი ძალზე სასიფათოა, რადგან ნილოსში ბევრი ნიანგია.

თქვენ ალბათ გაგიგიათ საპარას უდაბნო: ის მსოფლიოში უველაზე დიდი და ცხელი უდაბნოა. როდესაც საპარიდან ქარი უბერავს, აქაური მცხოვრებნი პირბადეს აიფარებენ ხოლმე, ცხელმა ქარმა სახე არ აგვიწყვასო.

ქაირი


დიდი და ლამაზია ეკვიპტის დედაქალაქი ქაირო. თან ძალიან უცნაურიც. ქაიროს ერთი ნაწილი ისე განსხვავდება მეორისაგან, ორი სხვადასხვა ქალაქი გვეგონებათ. ამიტომაც ეძახიან ძველსა და ახალ ქაიროს. ახალ ქაიროში სწორი, გასიერი, მოასფალტებულ ქუჩებია და მაღალი სახლები. იქ დაქრის მრავალი ახალი მარკის მანქანა, ტრამვაი, ტროლეიბუსი, დადის მდიდრულად ჩაცმული ხალხი. ძველ ქაიროში კი მიდიხარ ისეთი ვიწრო-ვიწრო ქუჩებით, რომ მანქანად ვერ გაივლის იქ, ზანტად მიაბოტებენ აქლეშები, მიჩაქჩაქებენ ვირები. ირვა უამ



პატარა რომ ვიყავი, მეც თქვენსავით მიყვარდა უცხო ქვეყნებზე ამბების მოსმენა. როდესაც მიამბობდნენ, არის ისეთი ქვეყანა, სადაც თოვლი არ იცის და მთელი წლის განმავლობაში ცხელიაო, მიკვირდა, ვანა შეიძლება ასეთი ქვეყანა სადმე იყოს-მეთქი!

და აი, საკუთარი თვალით ვნახე, რაზედაც ბავშვობაში ვოცნებობდი: ეკვიპტეში გავემგზავრე. ის ჩრდილო აფრიკაში მდებარეობს. იქ მართლაც ზამთარ-ზაფხულ ცხელია და თბილი ტანსაცმელი, გზაში რომ გვეცვა, — ჩვენ ნოემბერში წავედით, — ჩემოდნებში შევიანახეთ.

ეკვიპტე უძველესი ქვეყანაა. მისი ქალაქები და სოფლები მდინარე ნილოსის გასწვრივ მდებარეობს. ადამიანს ხომ უწყლოდ გაძლება არ შეუძლია! ამიტომაც ამ უდაბნოების ქვეყანაში ნილოსი უძველეს დროიდან წმინდა მდინარედ ითვლებოდა და მას თაყვანს სცემდნენ. ნილოსის წყალს



რავი მათხოვარი, რომელთაც ბინა არ გააჩნიათ. ქუჩებში ცხოვრობენ და იქვე სძინავენ.

თუმცა ახლა არაბმა ხალხმა ხმა აიმაღლა უცხოელ მჩაგვრელთა წინააღმდეგ, გაანთავისუფლა სუეცის არხი სხვისი ბატონობისაგან. სამშობლოს კეთილდღეობა უკვე მათ ხელთაა.

ბევრ საოცრებას ნახავ ქაიროში! ერთხელ ჩვენ ძველი ქალაქის ქუჩებში მივდიოდით, დავინახეთ, მოდის პატარა მათხოვარი ბიჭი და მოჰყვება მაიმუნი. უცბად ისკუპა ამ მაიმუნმა, შეახტა ერთ კარგად ჩაცმულ მოქალაქეს და მორთო ყვირილი და ჭყვივითი ჩვენ გაკვირვებული შევჩერდით. გამვლულები კი იციროდნენ. ვიღრე იმ მოქალაქემ მაიმუნსა და პატარა ბიჭს ფული არ

მისცა, მაიმუნი მანამდე არ მოშორდა. აი, ასე ჰყოლია პატარა მათხოვარს თავისი მაიმუნი გაწვრთნილი და ასე შოულობდა ლუკმა-პურს.

ერთ დღეს ჩვენ მდინარე ნილოსი დიდი ნავით გადავცურეთ. ნავში ათზე მეტნი ვიხედით. მენიჩბე კი ორი გვეყვდა. ერთი მათგანი პატარა არაბი ბიჭი იყო. უცბად მენიჩბეებმა სიმღერა წამოიწყეს. თურმე ეს სიმღერა კი არაა უმამალალი ლოცვა-ღალაღი იყო. ისინი თან ლოცობდნენ და თან ნიჩბებს მწყობრად, რით უღალაღ უხვამდნენ. ასე ჰქონიათ წესად აქაურებს.


ცოტა ხნის შემდეგ შევატყვევ, რომ პატარა მენიჩბე დაიღალა და ნიჩაბს ისე მწყობრად ვეღარ უხვამდა. მე ჯერ მივეხმარე, მერე სულ მთლად ჩამოვართვი ნიჩაბი და მათი სიმღერის ხმაზე ამხანაგებს ქართულად გადავძახე:—აბა, ბიჭებო, ჩვენს მენავეებს მივეშველოთ-მეთქი! მართლაც ნავი ჩვენმა ტურისტებმა მოაყენეს მეორე ნაპირს. მენავეებმა კი დიდი მადლობა გადავცხადეს.

კაიროში

ქაიროს ახლოს იმყოფება ძველთაგანვე განთქმული უბანი გიზა. გიზა განთქმულია იმით, რომ აქ აგებულია ცნობილი პირამიდები.

პირამიდა უზარმაზარი ქვის ნაგებობაა, აქ მარხავდნენ ეგვიპტის მეფეებს—ფარაონებს. ფარაონი პირამიდის აგებას სიცოცხლეშივე იწყებდა. მავალითად, ფარაონ ხეოფსის პირამიდას ოცდახუთი წელი აშენებდნენ მისი უთავალავი მონები.

ძალიან ძნელი იყო პირამიდის აგება. პირამიდის თითოეული ლოდო სამ ტონას და მეტსაც იწონის. ეს ლოდები კი ერთმანეთზე არავითარი დულაბით არ არის დამაგრებული. წარმოიდგინეთ, რა სუფთად უნდა გაეთალათ და რა მკიდროდ უნდა დაეწყათ ქვები, რომ ასეთი მაღალი პირამიდა აეგოთ. ხეოფსის პირამიდა სიმაღლით 146 მეტრს



აღწევს. როგორც ჩვენმა გამყოლმა გვი-
თხრა, ერთი მეცნიერის გამოანგარიშებით,
მარტოოდენ ხეოფსის პირამიდის ლოდებით
თანამედროვე ქაიროსოდენა ქალაქი თავის-
უფლად აშენდება თურმე.

პირამიდები მეტად ძვირფასი ისტორიული
ძეგლებია: ძველად ეგვიპტეში სწამდათ, რომ
ადამიანისათვის სამარხში უნდა ჩაეტანებინათ
ყველაფერი, რაც სიცოცხლეში გააჩნდა.
ამიტომ ჩააუოლებდნენ ხოლმე სიმდი-
რეს—ოქროს ნივთებს. სამკაულს. კურ-
კელს: წარმოიდგინეთ, იმდროინდელი ხო-
ბალიც კი აღმოაჩინეს პირამიდაში.

ხუთი ათასი წლის შემდეგ ყველაფერი
ეს ამოიღეს ფარაონთა აკლამებიდან და
გაიგეს, რა კურკელს ხმარობდნენ ადამი-
ნები მაშინ, როგორ ცხოვრობდნენ ისინი.



ლუბა-ქრისტუსი

პირამიდებს მხოლოდ ეგვიპტეში ნახავს
ადამიანი. ამიტომ მუდამ უამრავი მოგზაური
ირევა ხოლმე ამ ადგილას. რასაკვირველია,
ჩვენც წავედით მათ სანახავად.

გზაზე აქლემები იყვნენ ჩამწყრივებულ-
ნი და მოგზაურებს უცდიდნენ. ვიდრე პი-
რამიდების შესასვლელში მიხვალ, საკმაო
გზაა გასავლელი. მეც მომიყვანეს აქ-
ლემი. პატრონმა ის ჩემს წინ დააწვივა,
რომ ზედ შევმჯდარიყავი. მაგრამ მიუჩე-
ველი კაცისთვის ძნელი უოფილა აქლემით
მოგზაურობა! დავჯექი თუ არა, აქლემი
ნელა წამოიღა ფეხზე. მე ჯერ წინ გადავ-
ვარდი, მერე უკან დავცურდი. აქლემის კუდს
მოვეკიდე და გადმოვარდნას ასე გადავრჩი!

დავითვალეფეთ პირამიდები: იქ ბევრი
სხვა ქვეყნის ტურისტიც იყო. მათ შო-
რის—ერთი ხანში შესული ამერიკელი მამა-
კაცი ორი ქალით. ამერიკელთან ახალგაზ-
რდა არაბი მივიდა, ასე ოცდასამი წლისა
იქნებოდა. დიდხანს ეხვეწა რაღაცას. მერე
უცბად მოწყდა ადგილს. მიირბინა პი-
რამიდის კედელთან და სწრაფად შეუღდა.





პირამიდაზე ასვლას. ცოტა ხანში უკვე პირამიდას წვერზე მოექცა, მერე ისევე სწრაფად ჩამოირბინა თვალუწვდენი კედელი და ისევ იმ ამერიკელთან მიირბინა, რომელიც დურბინდით ადევნებდა თვალს ამ საოცარ ალპინისტურ ოსტატობას. თურმე იმ არაბმა ამერიკელს სანაძლეო დაუღო, რომ რვა წუთში აირბინდა პირამიდის წვერამდე. სანაძლეო კი მოიგო, მაგრამ ვაი ამ მოგებას! ადამიანის ფერი აღარ ელო ზედ.


ჩვენმა გამყოლმა გეოზხრა, ყველა ვერ შესძლებს ასეთ ყოჩაღობას და ვინც კი შეიძლებს, იმასაც მალე ელევა ღონეო. სანამ პირამიდის გზას აღმოაჩენდნენ, ბევრი დაკარგულია პირამიდის უზარმაზარ ლოდებში. ახლა კი ლოდები დანიშნული ყოფილა და ადვილად იკვლევენ გზას.

ჩვენ გაგვიკვირდა უმაწვილი არაბის საქციელი. მაგრამ მალე მივხვდით: ქვემოთ მას მშვიერი ცოლ-შვილი ელოდებოდა. ფული მიიღო თუ არა, მაშინვე ცხელ-ცხელი პატარა ლავაშები უყიდა შვილებს.

სამშობლოში გამგზავრებისას ერთი პატარა არაბი მოგვეშველა და სასტუმროდან ბარკი მანქანამდე მიგვატანინა. მას სახელად აჯაიჯი ერქვა, როგორც სასტუმროს ყველა მოსამსახურეა. პატარა აჯაიჯსაც გრძელი თეთრი ხალათი ეცვა. წელზე წითელი ნაქე-

რი ჰქონდა შემოხვეული, თავზე კი წითელი შავფოჩიანი ფესი ეხურა. მოგვხიბლა ამ ბავშვის სიმკვირცხლემ და ვიზოვეთ, ჩვენთან სურათი გადაეღო. ის ჩემს გვერდით დადგა და მაგრად ჩამკიდა ხელი მკლავში. როცა ამისათვის მადლობა გადავუხადე, ნათელი ღიმღიმით შემომცინა და შემდეგ იქვე მდგომ კარგად ჩაცმულ უცხოელებს სიამაყით გადახედა. უცხოელები გაოცებით უპურებდნენ ამ სურათს. ასეთი რამ ალბათ პირველად იხილეს თავის სიცოცხლეში.

საქვირველი მეცნიერებს



ნახატები ან. ანდრეასისა



სატვირთო ვაგონი ბაწარზე ჰკიდია. სათამაშო არ გვეგონს, ეს ნამდვილი ვაგონი გახლავთ. არც ბაწარია ჩვეულებრივი. კიმიკოსებმა ქვანახშირისაგან ფოლადზე უფრო გამძლე ძაფი მიიღეს. ეს ძაფი ბაწარის სიმსხოდ შეფრიხებს და დახვედ, ვაგონის სიმძიმეს თავისუფლად უძლებს.



ქედამ ახალი შარიალ-ხალათი გიყიდა, შენს დაიცოცხ აბრეშუმის კოხტა კაბა შეუტერებს. აღბათ პირველად არც კი დიჯერებ, რომ შარიალ-ხალათი და კაბაც ქვანახშირისაგან არის დამზადებული. დიხხ, შავი, მურა ქვანახშირისაგან. ამ ქვანახშირის გადაშუშავებით ქიმიკოსებმა მიიღეს აბრეშუმისა და შალის ქსოვილები, ქათქათა ბეჭეფული, სხვადასხვა წამალი. აი, ექიმი რომ ასპირინს ან პირამიდონს გამოგიწერს, ესეც ქვანახშირისაგან არის დამზადებული, და ის სურნელოვანი ფანილიც კი, რომელსაც დედები ნამსხვარში ატანენ ხოლმე.



ქრიალა ავტომანქანა ორ კაცს ბუმბულივით აუტაცია ხელში და სხვა ადგილზე გადააქვთ. მაშ, დევები ყოფილან, რაკი ამოღენა მანქანას მოერიცენინ არა, თვით მანქანა არის მხატვ, სულ რამდენიმე ათეულ კილოგრამს იწონის. ძარა მას პლასტმასისა აქვს, აი, ისეთი პლასტმასისა, როგორც ფინანები, საინები თუ ფერადი კოლოფები გინახავს, ოღონდ შენი პლასტმასის ჯურჯელი თუ

ტყდება, ამგვარი მანქანის გაფაქნაც კი გაგიწვდებდა. ეს მანქანა ყველგან რომ დაეჯახოს, არ დაზიანდება. რუხინის ბურთივით შეიზნიკება და შემდეგ ისევ გასწორდება.

თითო აგურის სიგრძე ორი მეტრია და სიგანე—ერთი მეტრი, აწვე კი არსად ზანს, რომ ისინი ერთმანეთზე დააწყოს. მგვარამ მუშამ ქალღღღღით აიტაცა უზარმაზარი აგური. ნუ გაიკვირვებთ, ეს ისეთი მსუბუქი აგურებია, წყალში რომ ჩაავლო, არ ჩაიძირება, მასში სიკივლე ვერ ატანს და სითბოსაც კარგად ინახავს. ჩრდილოეთ პოლუსზე მყოფმა ჩვენმა მეზამთრებებმა სახლები ასეთი მასალისაგან აიგეს.



ქს უზარმაზარი ხიდი სულ მოკლე ხანშია აგებული. თქვენ გიყვართ მუყაოს სათამაშო ხილების აგება, გაუსვამთ წყბოიან ფუნჯს და ხიდის ერთი ნაწილი მეორეს მიეყვება. რა ადვილია, არა! აი, ასევე რომ შეიძლებოდეს ლითონის ხიდის აგება?! თურმე ესეც შესაძლებელია.

ქიმიკოსებმა გამოიგონეს ისეთი წებო, რომლითაც ლითონის ნაწილებს სწრაფად და მტკიცედ აკავშირებენ ერთმანეთზე. შენი სათამაშოების წებოს თუ წყალი ადვილად მოერგვა, ამ ხიდს ვერაერთი ძალა ვეღარ დაშლის. კიდეც ბევრი, ძალიან ბევრი საოცარი ამბის თხრობა შეიძლება იმ საინტერესო მეცნიერებიდან, რომელსაც ქიმიკოსები ეწოდება.



ზამთარი



გ. კლინიჭვილი

შემოდგომა წავიდა
შაქარივით დამტკბარი,
თეთრზე თეთრი სამოსით
შემოვიდა ზამთარი.

მოვეციტანა სიცვიე
და ვინეები უჩვევი,
ზოგი ცივას იკეთებს,
ზოგი ტკებება ჩურჩხელით.

ძიცუცქელან ცელქები
კაღვიკუბულ ბუსართან,
ზანა თედოს უსმენენ,—
ზღანბრებს ჰევება უსვადა.

რა კარვია ზამთარი,
ველოდით და მოვიდა,
კაღანეტა მიდამო
თეთრზე თეთრი თოვლითა.

ნანა და ბელურები

ბარდნის,
ბარდნის,

თოვლის ფიფქი
მიწას საზნად ეხურება,
ქარი ქრის და ქარი ზმუის,
მოიწეინეს ბელურებმა.
გოგო ნანა, გეუურება?
კაკ-კუშკ...

კაკ-კუშკ!..
სარკმლის მინას
ნისკარტები ზანაწინა
დაუშინეს ბელურებმა.

ა. პარლიანი





ნანა აღარ დახანებს,
ჩიტუნიებს ვახანებს;
აღებს სარკმელს,
აწვდის საკვებს.
ჟრიკ-ჟრიკ!..

ჟრიკ-ჟრიკ!..
ჟიუჟიუთა ბელურების,
ნანას ირგვლივ ეხვევიან
ნიძნად მათი ჟრტოვულებიან.

თევზმჭერი

ნაპირს უახლოვდება,
ღურჯ კვამლს უშვებს მიდიდან,
ეს თევზმჭერი უთუოდ
მთელ ზღვას შემოივლიდა.

შესვენებაც კი არ სურს
ზღვაზე ღამეგანათვეს,
მოღის, მოეზიდება
თევზით სავსე კადათებს.



ქუდი

დაიკარგა დათოს ქუდი!
სად არ ძებნეს, ვერსად ნახეს.
ოგვიანებს დათო კლასში,
ჩამოსტრირის პირისახე.

რას იზამდა, რა გზა ჰქონდა,
გადაიგღო მხარზე ჩანთა,
დამნაშავე თავად იყო!
თავშიშველი წაჩანჩაღდა.

ბოლოს ბებომ ძღვის მიაგნო:
ქუდი ვგდო საწოლს უკან,
ტკბილი ძღვის მოყვარული
შიგ ხვრინავდა დათოს ცუგა.



3. აბაძე

ნახტი X. ლოლასი

ბაბუა ამირინდო სვარში მუშაობდა. მაგდაც მასთან ტრიალებდა, ხან ევავილს ეტანებოდა, ხან — ზეზელას. ზეზელასე უფრო მეტად ევავილი მოსწონდა, რადგან ზეზელა ვერ იქნა და ვერ დაიჭირა, ევავილები კი უხვად მოაგროვან... მეტსაც მოაგროვებდა, რომ ბაბუა ამირინდოს ჰერანგის სასელო არ მიეხია ჭიგოზე. მაგდამ ეს რომ დაინახა, სახლისაკენ მოკურცხლდა. ძაღვ, სულ ძაღვ ისევ უკან მოვიდა.

— ბაბუა, აი, ეს ისეთი წამალია, ისეთი, რომ... — თან გახეულ სახელოს მინჩერებოდა.

ბაბუას გაეცინა, მუშა ჩამართვა და უთხრა:

— ეს გაკაწრულის წამალია, გახეულ ჰერანგს კი, ჩემო მაგდა, სწავ წამალი სჭირდება...

თქვენ ხომ ვერ მეტყვით, ბავშვებო, რა არის გახეული ჰერანგის უებარი წამალი?!



როგორ იხალავიან სოსხის წიწილები



3. მიზაპილი

ნახატები ირ. პარიზვილისა

მაველის ჯაგნარის პირას, მაღალ ბალახში, სოსხის თავისი შვილები მარცვლების საკენ-კად გამოუყვანია. ცამი შიმინო ტრიალებს და გარემოს ზეურავს. აი, შენიშნა სოსხის ფუნჩულა, გაბუმბლული წიწილები და მათეენ გამოქენდა. დედა სოსხობა თვალი მოჰკრა შიმინოს,

ერთი დაიკრიანსა და ფუნჩულა წიწილები უცებ გაქენენ, თითქოს მიწამ ჩაულაპაო.

მიმინოს უკვირს: სად გაქენენ გემრიელი სოსხები, ცამ უეო თუ მიწამ პირი?

კარგა ხანს უვირკიტა შიმინომ, მაგრამ ველარაფერი გაარჩინა და სხვაგან გაფრინდა თავგების დასაჰერად.

მაშინ ისევე დაიკრიანსა დედა სოსხობა და შვილები თითქოს მიწიდან დაიბადნენ.

ჰკვიანი წიწილები სომ არც მიწაში ჩამპერაღან და არც საღმე დაძაღულან, დეღის ნიშანზე იმ წუთას მიწას გაერთსენ.

ისინი ისე უკვანს ფერით სმელ ბალახს, ფოთლებსა და მიწის გორახებს, რომ გამჭრიანს მიმინოც კი ვერ გამოარჩევს მათ მადლიდან.

მიმინო წვაოდეს და ისევე თავგები დაიჭიროს!

მგლინაჰა

თუ გინახაუი პატარა, კრძელნისკარტა, კუღ მოკლე ჩიტი! ის ზევით-ჰვევით დაცოცავს ხეზე და ბუჯითად ასუფთავებს ჭიადლებისგან. მგლინაჰა კოდალას პატარა თანაშემწეა.

მგლინაჰა ამის გარდა მშენებელიცაა. ბუღისათვის ფუღუროს მონახავს სოღმე. თუ ფუღუროს შესასვლელი განიერია, მგლინაჰა დაიწყებს თისის ხიდვას და ამოღესავს მანამდე, სანამ სულ პატარა ნახერეტი არ დარჩება, ისეთი, — რომ მარტო თუითონ გაეტეოს.



ამას იმეტომ აკეთებს, რომ კვერნამ ან გარეულმა კატამ თათი ვერ შეჰეოს და მისი ბარტეები არ გამოათიროს.

მ. პალაპაპიძე

მატყუარა



თქვენ არ იცნობთ განა მატყუარა მათეს? ლიას (ორ ცაღ თხილში) ორ ჩურჩხელას ართმევს.

სწავლა სიბერეების

ალბანური იგავი

იყო ერთი ბერეკაცი, მთელ ქვეყანაზე განთქმული თავისი ცოდნითა და სიბრძნით.

ერთ სვლამოს ბერეკაცი ჩაუქრებულ იჯდა ბუსნთან. მოულოდნელად ვიღაცამ მიუკაკუნა კარზე.

— მობრძანდით! — გასძახა ბერეკაცმა.

კარი გაიღო და ოთახში ჰატარა გოგონა შემოვიდა.

— ბრძენო ბატონო! — უთხრა გო-

გონამ, — კერიანზე ცეცხლი ჩავკვირა. ნაკვერცხალი მიბოძეთ, თუ შეიძლება!

— კარგი, გოგონა, მაგრამ თან რომ არაფერი მოგიტანია, რით წაიღებ ნაკვერცხალს?

— ხელით წავიღებ.

— ხელით? რომ დაგეწვება?

— არა, არ დამეწვება, აი შესედე!

გოგონა ჩაცუცქდა ბუსნის წინ, გამოიღო ნაცარი, დაიუნარა ხელისგულზე და ზედ ორი-სამი გაპარფარებული ნაკვერცხალი დაიღო. მერე მადლობა გადაუხადა და წავიდა.

კაცებულმა ბერეკაცმა თავისთვის ჩაილაშარაკა:

— დახე, ეს მე ვერ მოვისასრე, იმ ჰატარა გოგონამ კი მასწავლა! ამიტომაც უთქვამთ: სწავლა სიბერეებისო.

ნახიტი ჯ. ლოლაში





არაკი

მგლის ჭკუა



მეღ თეგზის თავს შეექცეოდა, რომ მგელი მოაგდა კარზე.

— მეგობარო, ჭკუას გიქებენ! თუ ძმობა გწამს, მასწავდე, როგორ გავხდე მეც ჭკვიანი?

— ეჭ, ჩემო კარგო, შენი განზრახვა კი მოსაწონია, მაგრამ, ვაი რომ ძვირად დაგიჯდებოდა. ხედავ, მე თეგზის თავს ვჭამ ყოფედღე და იმიტომ ვარ ასე ჭკვიანი. შენ ის მითხარი, ჩემისთანა თუ ჩემზე მეტი ჭკუის პატრონი გინდა გახდე? მე ყველაფრის წამალი ვიცი.

— მაგას რაღა აჯობებს,— გაეხარდა მგელს.— მე მინდა შენსავით მოხერხებული ვიყო.

— მაშ წადი და ცხრა ქათამი და ცხრა წიწილი მომგვარე, დანარჩენი ჩემზე იყოს,— უთხრა მეღამ.

მგელს მოაგონდა, მის ძმას მოტაცებული ბატკნები რომ ჰყავდა გადამადული, ღამით მიეპარა, გამოირეკა ცხრა ბატკანი, გზაზე

ცხრა ქათამსა და ცხრა წიწილში გადაცვალა და მეღას მიაგდა.

— ესენი დამიტოვე და წამდისათვის სხვად გამოიარეო,— უთხრა მეღამ.

მეორე დღეს მგელმა მეღას მიაკითხა. გამაძლარი მეღა ბუმბულში იქექებოდა,— იქნებ შეუჭმელი დამჩა რამეო.

— აი, გენაცვადე, შენი წამალი: ქათმების თავ-ფეხი ზურჯინის ერთ თვალში მოათავსე, ბუმბული მეორეში ჩაყარე, ოღონდ საღამომდე პირი არ დააკარო. ჭკუის მომატებას კი სვადიდანვე იგრძნობო.— დაარიგა მეღამ.

მგელმა ველარ მოითმინა და თავ-ფეხი გზაზე შესანსლა, ბუმბული საღამოსათვის შემოინახა. მაგრამ ერთი-ორი ღერი რომ ჩაყდაბა, ისეთი სხვადა აუტყდა, კინალამ დაიხრჩო.

მგელმა ისევ მეღას მიაშურა:

— ეს რა მიყავი, ძმობლიო. ბუმბულმა კინალამ დამახრჩო?! თუ მარტო თავ-ფეხის შეჭმა იყო საჭირო, მაგას მეც მოვახერხებდი. შენ ის მითხარი, ქათმების სხვა ნაწილებს რა ბედი ეწია? აკი ბატკნები შევწივე ამ ამბავს.

— უმადლო! ქათმების სხვა ნაწილები წამლის გაცეთების დროს დამეხარჯა. შენ რომ ჭკუა გქონოდა, გუშინვე ასე იმსჯელებდი; ჩანს, გაუჭირა ჩემს წამალს. ახლა კი აქედან გამეცადე, თორემ ისეთ წამალს მოგცემ, რაც ადრე ჭკუა გქონდა, ისიც გამოგვიღოს,— უთხრა განრისხებულმა მეღამ და მგელი ტუნძულით გაისტუმრა.

გადმოკეთებული რ. თავდილიშვილის მიერ
ნახატი შ. ხნაღაძის

რას მოვიპოვებ?

— შენ, შენ თუ ვინაა... ამის შერიკი რა მინდა! — და ბავშვებს დავითა შენე სწრაფად ვედი, დღესაც წესდება, წესდება და ისრითა, მთხეზღერე დათარა კაბდითავეს კისრითა!

X. ჩაჩავაძე

ფერად-ფერადი



ბავშული

პ. მახაჩი

ამისთანა ბავშული განა სადმე ნახულია? წესე მთელი დღე ლობუსთან, ძილი აღარ მოგებრა.

რა ზარმაი ძალაია, ვვლარ გამომიცხვია! სხვა ბავშული მაწუქოს, — უნდა ვთხოვო ზობას!



ხმალი

— რა ხმალია შენ, — ვვარის რეზო, წუთი არა ცხრება, თან ვკავრითილებს! — ხელს ნუ ახლები, თორემ კადატდება!

ნაბჯარი

თავრების ჭეოთა — სიგეი გამოდის, ნეტე კარი დარევი დია! — გულში ნაქრებს ფისი.

ბ. ჩაჩავაძე



რად არ



იჩინებს?

დამე, დამეა ბუბია, მე და დედოც ვიჩინებთ. ბუბართან ფისი კრუტუნებს. სინავეს კრუტებს და წიწილებს. ჩემს გვერდით სინავეს დათუნებს და ააწყობს ტყუილს.

მთელი დამე რომ ტიტინებს!

ბ. მახაჩი

მხატვარი

— თინა, თულები არ აქვს, ვერ გავლის გზაზე... — ეს ხომ ნახატია, მიასიხა ასე.

ბ. მახაჩი



ზრილობის ბავშვთილი

ტრულიბუბი ხაზით იფე გაჯვადილი. წინა ბაქნიდან ამოვიდენ ქალი და პატარა გოგონა. ერთი მცხვერი ათვა და გოგონას ავიღიო თუთოთო. შემდეგ მიუბრუნდა ვეკითხა:

- რა მითხარი, გოგონა?
- არაფერი არ მითქვამს.
- რა, უკავრავთ, მე შეგონა, მაღალსა კავთხაიხათე.

პასუხი

— აბა, ანდრო, ველივები შენს პახებს, განა ჩემი შეკითხვა ასე ძველია?

— არა, პატრედილო მახვალეებო, შეკითხვა კი არა, პახუნია ძველი.

ანბანბი

- რენე, იგი ანბანბი — კეთხის მახვალეებებსა პატარა მოხვალეს.
- თიაბ, პატრედილო მახვალეებო, კარგად ვიფო.
- ანბან მითხარი, რაზელი ახი მოხვევს „ა-ბ“?
- გვლა დანარჩენები! — სწრაფად უპახუნს პატარამ.

ფრანგულიდან თარგმნა ლ. დარაშვილმა

ნახატები


ბ. მახაჩი

ის ახვალეები მხატვრები, ნახეი ზევის ღრუჯი ზოლი, არ ვაქტირდება სხვა მხატვრული თემა.

ბ. მახაჩი




გ ა მ ო ს ა ნ ე ბ ი



დღობო ვეხვად დინახე, ვინახე ხაზი ჩაქვალეს, აჩე თვევი, აჩე ჩიგია, თახვანე წვევი და ფრენე იყო.

ბ. მახაჩი



წიხობს და მხინჯარ მხვალე, მახვალეებო დევირებს, ვინახვარს ხოლმე თახვანე, ვინახვარს მხვალეებს!

ბ. მახაჩი



შინ მთავს ცალხეხს დობო, აჩე თვა აქვს და აჩე თული, ახვალეი ჩემზე მალე, დანახე კი ჩემზე დანახე.

ბ. მახაჩი

ბავშვებო! ამას წინათ ერთი რკვეული ვიპოვეთ. შვ შტნაურთა ზღაპარი ეწერა. აბა, სწორად ამოკითხეთ და შედეგები გაა-
წერეთ.



ნიყვი ~~თერა~~ და ნამადრი
ტყის პიხას ერთი ვუბნუხთვდა მიხა
იღვა. გუხდით მცინახე ჩამსყდიდა.
ტყის ფუტყუხსში ნიყვი ცხვჩხვდა. ნიყვამ
სწამთხედ ზრმად მიძახავა ვაჟები
და სხს.

ერთ საღამოს ნიყვთან მკვიდა ნამა-
რი და ჯივილით შესძახა:
- მიშვედე ნიყვ, ~~თერა~~ თერა მძმ-
ღავს შესაქმედად!
- ჩქაჩა, ამღვინბი ზეჯით. - მიყვ-

ნიყვამ.
ის იყო თერას ჰყხი ყნდა ეტყცა,
ნამადრი ფუტყუხსში შუხცა და
დაიცალო.
მიხამ ზღდებნი ააშხიარა და ჯყდ,
ამდყუნყდ თერას ჩაყმღუხა:
ჰაჩადრი და ჰაჩადრი,
თერა რაჩა სწამშხადრი.

ნახატი პ. კანელაქისა



ყდის მხატვრობა ევთენის გ. თოთიბაქის

რედაქტორი იოსებ ნონეშვილი. სარედაქციო კოლეჯია: ი. გრიშაშვილი, კ. გოგიაშვილი, მ. მავალა მრეველიშვილი (რედაქტორის მოადგილე), ი. სინარუღიძე, ნ. უნაჭკოშვილი, შ. ცხადაძე (სამხატვრო რედაქტორი) გამომცემის ოცდაათორმეზა წელი შანი შანი.

ტექ. რედაქტორი ი. არღვილი რედაქციის შემოსული მასალები ავტორებს არ დაუბრუნდებათ

საბლტიბაში, რედაქციის მისამართი: თბილისი, პუხნაურის პარკი, 91, ტელ. 3-37-38, გამომც. შვეც. № 285, სტამბის შვეც. № 2919 ტიპოგრაფია № 00911 ხელმოწერილია მდსაბგმზად 9/1 1959 წ. ფურცლი დაბეჭდილია ლითონ-ფუნტურ ტექნიკის უბრალოდ და ი. ა. ლ. ა. - თბილისის დეტის ჟურნალს ცკ აკსმ გრუნი და რესპუბლიკის საბავშვო ორგანიზაციის იუნიკ აკორიონ იხ. ვ. ი. ლინია № 2, ფებრალ 1959 წ. თბილისი, პროს. პუხნაურის 91.